№ 725 ხუთშაბათი, 14 იანვარი 1896—1899 ხუთშაბათი, 14 იანვარი № 725

სტამბა და რედაქცია ტფილისი, სასახლის ქ., სათ.-აზნაურო ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დახაკვეთად მიმართავენ რედაქციის დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 დღ „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ ვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.
Типографія и Редакція „Цнобисъ Пурцели" Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства. Телефонъ № 363

1899 წლისათვის მიიღება ხელის-მოწერა
გაზეთ „ცნობის ფურცელზე"
ფასი წლიურად 6 მან., ნახევარის წლით 4 მან., ერთის თვით 60 კაპ.

დღესასწაულისა გამო შემდეგი ნომერი „ცნობის ფურცლისა" გამოვა შაბათს, 16 იანვარს.

გამოვიდა და ისყიდება მეოთხე სურათებიანი გამოცემა ძმათა თავართქილაძეების წიგნის მაღაზიისა
„სახელმძღვანელო"
სამღვთო სჯულის სასწავლებლად საერო და სამრევლო სკოლების მოწაფეთათვის
შედგ. მღვ. ნ. ჟუჟანეიშვილის მიერ
ფასი ყდით 30 კაპ.
ცალკე თითო კაპეიკი გადიდება სვეტი-ცხოვლის ტაძრის შესაკეთებელ ფონდისათვის. (20—11)

...ვირას, 17 იანვარს, დანიშნულია ...აზოგადო კრება ხელოსანთა ამხანაგობის
„შრომისა"
კრება გაიხსნება დილის 10 საათზე ამხანაგობის ქარხანაში, ხიდზედ, მუხრან-ბატონის სახლებში.
საგანი კრებისა:
1. მოხსენება ექვსის თვის ანგარიშისა.
2. არჩევა ფირმის წარმომადგენლისა მომავალის წლისთვის.
3. სარჩიელი მაზედ, თუ რა საშუალებით შეიძლება ამხანაგობის თანხის ...ძლიერება და ქარხანის უკეთ მოწყობა.
4. არჩევა გამგეობის სამის წევრისა და სამის კანდიდატისა. არჩევა ზედამხედველ-კომიტეტის სამის წევრისა და სამის კანდიდატისა.
საარჩევანო კენჭი მიეცემა მხოლოდ ...მ წევრთ, რომელნიც 17 იანვრამდის საწევრო ფულს 13 მანათად შეასრულებენ.
(4—2).

გამოვიდა გახასეიდად
ცხოვრება
...ორისისა და მოციქულთა სწორისა წმ. ნინო ქართველთ განამანათლებლისა
გამოცემა მორჩილის რაფიელ ბარამამისა.
ფასი ერთი შაური

ვკისრულობ
ხე-ტყის განიხვრას, ვადაზე ვასრულებ საჩქარო საქმეს, რაც შეიძლება, მალე ვშოულობ სესხს როგორც სახოფლო მეურნეობისათვის, ისე ხე-ტყით სარგებლობისათვის.
ადრესი: ტფილისი, ალექსი გროგორის მე სნეჟნიკოვი, ლაბორატორის ქუჩა სახლი № 26, ტელეფონი 567.

სამკურნალო და ამბულატორია
ვ. ბ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ვ. ბ. თოფურია. საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. ქ. გერრატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოზანი.
20 მაისიდამ—ლეღათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r ფ. ბაცევიჩი.
თვალების ავადმყოფობას—ი. ქ. ვარშავსკი.
ამბულატორიასთან არის კაბინეტი საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისთვის.
სამკურნალო დირექტორი ვ. ბ. თოფურია.
*Лѣчебница В. С. Топурія* въ Кутаисѣ.

## კანონი და მთავრობის განკარგულებანი.

ებოძათ: ოცდა ხუთი წლის უმწიკვლო სამსახურისათვის ორდენი წმ. ვლადიმერის მე-4 ხარისხისა: დრაგუნთა მე-44 ნიჟეგოროდის რაზმის პოდპოლკოვნიკს ევგენი პანჩულიძეს; ბათომის სავაჭრო ნავთ-სადგურის კაპიტანს პოდპოლკოვნიკს კონსტანტინე ხარტულარის; დერბენდის მე 154 რაზმის პოდპოლკოვნიკს გუგუშვილს; ოცდა თხუთმეტი წლის თანამდებობაში უმწიკვლო სამსახურისათვის: ქალაქ ტფილისის ბოქაულს თავად სიდომონოვ-ერისთავს; ტფილისის გუბერნიის თავად აზნაურთა დეპუტატთა საკრებულოს თარჯიმანს სოლომონ ჯავრიშვილს; ცხრა წლის გულ-მოდგინე და უმწიკვლო სამსახურისათვის: ართვინის ოლქის უფროსის თანამდებობის აღმასრულებლად ნამყოფს თავ. ერისთავს; ქუთაისის გუბერნიის რაჭის მაზრის უფროსის თანაშემწეს ილია ჯაჯანაშვილს; ბორჩალოს მაზრის თრიალეთის ბოქაულს ზაალ ზაალიშვილს; ართვინის ოლქის ართვინის ნაწილის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელს შტაბს-კაპიტანს თავ. იასონ აბაშიძეს და გორის მაზრის საერობო დარაჯის დისტანციის უფროსს მილიციის პრაპორშჩიკს როსტომ ავალიანს.

# ახალი ამბავი

*** ექსარხოსის წირვა. დღეს, მისი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობა ქართლ-კახეთის მიტროპოლიტი ... და ქალაქის მოურავისა და ქალაქის გამგეობის წევრის თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვის შორის. ქალაქის მოურავის მოხსენებლოესობა საქართველოს ექსარხოსი ფლაბიანე წმ. ნინოს დედათა სასწავლებლის ეკკლესიაში იქნება მწირველი.

*** წირვა სიონის ტაძარში. დღეს, მისი ყოვლად უსამღვდელოესობა გორის ეპისკოპოსი ლეონიდი სიონის ტაძარში იქნება მწირველი. წირვის შემდეგ პარაკლისი იქნება გარდახდილი.

*** რკინის გზის მუშების საქმე. ორშაბათს საღამოთი ტფილისიდან პეტერბურგს დაბრუნდა ინჟენერი კეტრიცი, გზათა მინისტრის მიერ გამოგზავნილი ამიერ-კავკასიის რკინის გზის უმთავრეს სახელოსნოში და ტფილისის დეპოში მომხდარ არეულობის გამოსაკვლევად. ორშაბათსავე ბ-ნმა კეტრიცმა მიართვა კავკასიის მთავარ-მართებელს გენ.-ად. თავ გ. ს. გოლიცინს მოხსენება ამ არეულობის მიზეზის შესახებ.

*** მთავარმართებლის გამგზავრება. კავკასიის მთავარმართებელს, რომელიც ამ მოკლე ხანში პეტერბურგს გაემგზავრება, თან გაჰყვება მისი კანცელარიის დირექტორი ი. ვ. მიცკევიჩი, საქმეთა მწარმოებელი ნ. ვ. ნიკოლსკი და კანცელარიის მოხელე ლიპინსკი.

*** კერძო ვექილ პლიუშჩევსკის საქმე. 12 იანვარს ტფილისის ოლქის სასამართლომ დაადგინა: საკმარისი საბუთების უქონლობის გამო, მოისპოს კერძო ვექილის პლიუშჩევსკის საქმე, რომელსაც თავ. კ. ი. ბაგრატიონ მუხრანბატონი ყალბი ვექსილის გაკეთებას აბრალებდა.

*** დ. გაბაშვილის მოკვლის საქ-

მე. საქმე თავ. შიხი ტუსიშვილისა, თავ. ვლადიმერ ბარათაშვილისა, დავით გიორგის ძის ოსიტაშვილისა და ალექსანდრე ტერ-შმოვანოვისა, რომელთაც დავ. გაბაშვილის მოკვლა ჰბრალდებათ, 3 თებერვლის ნაცვლად, დანიშნულია განსახილველად 22 თებერვლისათვის.

*** **ქალაქის მოურავის და თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკის საქმე.** გუშინ ქალაქის გამგეობამ განიხილა ქალაქის მოურავის გ. გ. ევანგულოვის მოხსენება შესახებ იმ უთანხმოებისა, რომელიც მოხბა, და დაადგინა ამ საქმის განხილვა გადაეცეს ქალაქის გამგეობის წევრთ ე. ე. ხოსროევს, თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილს და ახლად არჩეულ წევრს მ. ს. შესტაკოვს და თუ ამათ არ მოისურვეს ამ საქმის განხილვა, აირჩიონ სხვა სამი კაცი და იმათ გადასცენ ეს საქმეო. თავ. არღუთინსკი-დოლგორუკოვმა ითხოვა, ორთავე მხარეს ნება მოგვეცეს გადავაყენოთ არჩეული კაცებიო. ქალაქის მოურავმა სთქვა, ვინაიდან საქმის განხილვა, ან სამი კაცის არჩევა დავავალეთ გამგეობის წევრთ, ამიტომ მათ მიერ არჩეულის კაცების გადაყენება საჭირო არ არისო, მაგრამ მე არა მსურს, რომ ამ საქმეში უპირატესობა რამ მქონდეს თავ. არღუთინსკი-დოლგორუკოვზე, ამიტომ წინააღმდეგი არა ვარ არჩეულ კაცების გადაყენებისაო.

*** **ყვავილი ტფილისში.** ამ ბოლოს დროს ტფილისში ყვავილი შესამჩნევად შემცირდა.

*** **მახ. ალერწიანის საქმე.** 12 იანვარს ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე ქუთაისის მცხოვრების ალერწიანისა, რომელსაც ბრალდებოდა მისგან საჯარო ვაჭრობით ტერ-მარტიროსიანცის-მიერ ნაყიდ სახლზე ცეცხლის წაკიდება. მოწმეთა ჩვენებით დამტკიცდა, რომ სახლს ცეცხლი წაუკიდა ბრალდებულმა. სასამართლომ ბრალდებული დამნაშავედ იცნო და დაადგინა ჩამოერთვას მას ყოველგვარი უფლება და გაგზავნილ იქმნეს საცხოვრებლად ციმბირის არა შორეულ ადგილებში.

*** **ფასების მომატება ვაზის წამლებზე.** კავკასიის სამეურნეო საზოგადოება აცხადებს, რომ ამ ბოლოს დროს ფასები შაბიამანზე, გოგირდზე და ვაზის სხვა წამლებზე შესამჩნევად მატულობს, და ამიტომ ურჩევთ მეურნეთ, ახლავე შეიძინეთ ეს წამლებიო.

*** **სომეხთა მსახიობ ქალის სატანიკ ჩიმიშკიანის საიუბილეო წარმოდგენა.** დღეს სათავად-აზნაურო თეატრში დანიშნულია ნიჭიერ სომეხ მსახიობ ქალის სატინიკ ჩიმიშკიანის საიუბილეო წარმოდგენა. ამ ქალს წელს შეუსრულდა 35 წელი მას შემდეგ, რაც სამოღვაწეოდ გამოვიდა სცენაზე. თავდაპირველად ეს მანდილოსანი თავის ქრმითურთ ქართულ წარმოდგენებში იღებდა მონაწილეობას და ჯეროვანი ყურადღებაც დაიმსახურა, შემდეგ-კი მთელი თვისი ძალღონე სომხურ თეატრს შესწირა. სულით და გულით ვუსურვებთ პატივცემულ იუბილიარს ამის შემდეგაც დიდხანს ამშვენებდეს თავის სამშობლო სცენას.

*** **ახალი წიგნები.** რედაქციამ მიიღო ორი ახალი გამოცემული ქართული წიგნი: „ცხოვრება ქართველთა განმანათლებელის წმ. ნინოსი“ და „ცხოვრება ღირსისა დედისა თეოდორა ალექსანდრიელისა;“ ორივე წიგნაკი გადმოღებულია მ. შარაძის მიერ, გამოცემულია მორჩილ რ. ბარამიძისაგან და ჰღირს თითო შაური.

*** **შეცდომის გასწორება.** ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომრის ახალამბებში შეცდომით ორი სრულიად სხვა და-სხვა ამბავია მოქცეული ერთი სათაურის ქვეშ: „უგზოობა“ მეორე ამბავს, რომელიც უსათაუროდ იწყება სიტყვებით: „როგორც ვუწყით“ უნდა ჰქონოდა საკუთარი სათაური: „ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის არჩევნები“.

*** **ამიერ-კავკასიის რკინის გზის მოქმედება.** გასული წლის 11 თვის განმავლობაში ამიერ-კავკასიის რკინის გზას წაუყვანია საზოგადო ტარიფით 1.160,188 მგზავრი, საქალაქო ტარიფით — 1.611,365, სამხედრო ტარიფით 103,189, სულ 2.875,742 კაცი; გადაუტანია 137.995,779 ფუთი საქონელი, 2,603 სხვილფეხი პირუტყვი; აუღია მგზავრების წაყვანისათვის 1.882,505 მან., საქონლის გადატანისათვის 14.656,641 მ., სხვა შემოსავალი ჰქონია 1.641,695 მ., სულ 18.180,904 მ. 1897 წელთან შედარებით მგზავრთა რიცხვს შესამჩნევად უმატნია (600,000 კაცით), და თანაბრად ამისა უმატნია შემოსავალს ბილეთების გაყიდვიდან; პირ-იქით, საქონლის გადასატან შემოსავალს დაუკლია 2.052,000 მანეთით, რაც გამოუწვევია ნავთის გასატან ტარიფის შემცირებას.

*** **ქაქუთი.** **მადლობა შემოწირულებისათვის.** ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვ, თქვენი პატივცემულ გაზეთ „ცნობ. ფურ.“ საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოუცხადო, როგორც ჩემი მხრიდან, ისე მცხოვრებთაგან სოფლების ქაქუთის და ჭანიეთისა მზრუნველს რწმუნებულ ჩემდამო ქაქუთის სამრევლო სკოლისა დიმიტრი გიორგის ძე ქავთარაძეს და არჯევან გიორგის ძე, ლუკა ბეჟანის ძე და მიხეილ და ომან ანტონის ძე ქავთარაძეებს, რომლებმაც კეთილ ინებეს და უფასოდ დაუთმეს ზემოხსენებულ სკოლას, შენობის ასაგებათ და საბაღეთ საში ქცევა მათდამი კუთვნილი მიწა, აგრეთვე დიდ მადლობას ვსწირავთ ლიხაურის საზოგადოების მამასახლისს ფარნაოზ ურუშაძეს, რომელმაც მხურვალე მეცადინეობა გამოიჩინა ამა სკოლის ახალი შენობის აგებაზე და ამ სკოლაზე მისასვლელ გზების გაკეთებაზე და ვუსურვებ ამ უკანასკნელს, რომ კვლავაც არ დაეშურებინოს თავისი კეთილი ღვაწლი ასეთ საზოგადო კეთილ საქმეებში.

მასწავლებელი რაჟდენ კონტრიძე

*** **სოჩა.** კარგი ამინდები. სწორედ 2 თვეზე მეტია, რაც აქეთ კარგი ამინდები დგას, არც თოვლი, არც წვიმა, არც ქარი და არც ქარიშხალი, მის მაგივრად ბრწყინვალე დღე და სითბო. ღამ-ღამობით ცოტა ა ივდება, დილის რთვილსაც დაინახავთ, მაგრამ ისიც მზის ამოსვლამდის, მერმეთ ისევ მშვენიერი დღეა, როგორც ხშირად იცის ხოლმე მაისის თვეში. ჯერ არავის ახსოვს ამისთანა მშვენიერი დღეები.

კოწია სოჩელი

---

## წმიდა და ნეტარი მოწამე ქრისტესი აბო *)

«აწ მოვედით, ქრისტეს მორწმუნენო, და ვდღესასწაულობდეთ ხსენებასა ახლისა ამის წმიდის მოწამისასა, რომელი ყოველსა ამას სოფელსა ჩვენსა ქართლისასა მეოხ ჩვენდა ქრისტემან მოგვანიჭა და სიხარულითა მრავლითა განვახვნეთ საუნჯენი გულთა და გონებათა ჩვენთანი და მხიარულითა პირითა და განმარტებულითა ენითა ვაქებდეთ კეთილად მოღვაწებასა მისსა».

(ქება წმიდისა მოწამისა აბოსი).

ბევრი უსამართლობა, ბევრი ტირილი, ბევრი ცრემლი, ბევრი ოხვრა და კვნესა გამოსცადა მაშინ იესოს გულისთვის ქართველმა— არაბთაგან, რომელთ წარმომადგენელი, ემირად წოდებული, ტფილისში სცხოვრობდა და აქედან თვალ-ყურს ადევნებდა ქართველების ყოფა-ცხოვრებას... ხალხი, შეწუხებული მძიმე გადასახადისგან, რომელსაც არაბთა მეფეს აძლევდა, გმინავდა და ზიზღით უც[…]
როდა არაბებსა და იმათ სჯუ[…]
სა... ამის მიუხედავად, შავმა დრ[…]
არაბთა ბატონობისამ ვერ გა[…]
ხა ქართველის გული,—ქართვ[…]
ძველებურად მხნეობდა, მას ძ[…]
ლებურად უყვარდა თავისი მ[…]
ლიური ეკკლესია, ძველებუ[…]
უცემდა გული ქრისტიანობის[…]
და ძველებურად მზად იყო[…]
ცოცხლის დასასრულამდის მტ[…]
თან ებრძოლა იესოს მოძღვრ[…]
დასაცველად... ამის გამო ამ [...]
ნებში საქართველოს ნაყოფ[…]
ნიადაგზე, ქართველი ხალხის ცხ[…]
რების ზედ-გავლენის ქვეშ, გა[…]
ჩნდა და გამობრწყინდა მრავ[…]
მოწამე სარწმუნოებისათვის საქ[…]
თველოში ამ მოწამეთა რიცხ[…]
ეკუთვნის წმ. მოწამე აბო, რომ[…]
ლიც თუმცა უცხო ტომის შვ[…]
მავალი იყო, მაგრამ სულით [...]
გულით, ხასიათით, შინაგან [...]
ნებით ქართველი, ქრისტ[…]
იყო... ათას-ას-ცხრა წლის წინ [...]
იანვარს წმ. აბო წამებულ იქ[…]
არაბთაგან ქალაქს ტფილისში, რო[…]
მელსაც შეუძლია სამართლია[…]
უწოდოს მას თვისს საკუთარს [...]
წამედ... მან აღზარდა იგი ქ[…]
სტიანობაში, მანვე მორწყო ი[…]
სი მიწა მის უმანკო სისხლ[…]
და მისმავე სამუდამო მეგობ[…]
—მოდუდუნე მტკვარმა მ[…]
ლო მისი დიდებული გ[…]
თვისს წიაღში... წმ. აბო ქა[…]
ტფილისის მოწამეა, მისი მფარ[…]
ლი ანგელოსია და აკი ამი[…]
წმ. ეკკლესია უწოდებს მას „ტ[…]
დელად“... წმ. აბოს ცხოვრ[…]
აღმწერი იოანე საბანის ძე იტყ[…]
რომ არაბებმა სასტიკობის და [...]
ვერაგის გამო ზოგიერთი ქართ[…]
ლი, ქართველთა მცირე რიც[…]
„ქრისტესგან შეაცდინეს და გადას[…]
ნეს გზისაგან სამართლისა და ჭე[…]
რიტებისა ქრისტეს სახარებისა“ ზ[…]
მოტყუებით, ზოგს ბავშვ[…]
უცოდინარობით, ზოგს მზაკვ[…]
ბით შეაცდუნებდნენ და ქრისტ[…]
ნობაზედ უარს ათქმევინებდნ[…]
იესოს ერთგულ ქრისტიანების [...]
რავლესობა-კი მუდამ იტანჯებო[…]
რადგან ნაკლულევანებაში და [...]
გლახაკეში იყო ჩაცვინული [...]
დიდ ხარკს იხდიდა არაბების [...]
სარგებლოდ... წმ. აბოს ცხოვ[…]
ბის აღმწერი იტყვის, რომ [...]
თველთა უმრავლესობა, „ქრი[…]
სიყვარულითა და შიშითა ჩვეულ[…]
მებრ მამულისა სჯულისა ჭირთა მ[…]
ნებითა არა განემორებოდა მხო[…]
შობილსა ძესა ღვთისასა“... ხა[…]
ნუგეშად არაბთა ბატონობის დრ[…]
მერვე საუკუნეში ითვლებოდა [...]
სე, ერის მთავარი, ხალხის გ[…]
რომელსაც ძალიან მტრობ[…]
არაბები, როგორც მომხრეს [...]
თველ ქრისტიანებისას. არაბ[…]
დაბეზღებით ნერსე გაწვეულ[…]

---

*) იხ. «ცნობ. ფურც.» № 724.

...ქალაქს ბაღდადს (ბაბილონს) ...რ მშობლის აბდილასაგან, რომელ...ც ის დააპატიმრა. სამი წელი ...მყოფებოდა ნერსე საპყრობილე-...ი, სადაც ის არ ივიწყებდა თა-...ის სჯულს და ხშირად გულმხურ-...ლედ ევედრებოდა მაცხოვარსა... ...რსეს ხასიათის სიმტკიცემ, მის-... მხურვალე, ცხოველმა სარწმუ-...ოებამ დიდად იმოქმედა თვრამე-...ის წლის ჭაბუკს არაბს აბოზედ, ...რომელიც მსახურებდა მას საპყ-...რობილეში. შთაბეჭდილებით მიმ-...ღევარს აბოს ფრიად შეუყვარდა ...არწმუნოების გმირი ნერსე და ...ადასწყვიტა თვისს გულში მას-...თან დარჩენა, მასთან სიკვდილი... ...მ ხანად მუმლი აბდილა, ნერსეს ...ამტყვევებელი, გარდაიცვალა და ...ისი ადგილი დაიჭირა მისმა შვილ-...ა მაჰმადმა, რომელმაც ღვთის ჩა-...ონებით, გამოიყვანა იგი მწარისა ...ისგან საპყრობილისა და გაამგზავრა ...გი ...რისთავადვე, ხალხის უფროსად- ...ე საქართველოში“... ნერსეს თან ...გამოჰყვა საქართველოში აბო, რო-...მელმაც დატოვა თვისი მშობლები ...და მონათესავენი და ქრისტეს გუ-...ლისათვის გაემგზავრა შორს ბაღ-...დადიდამ. უცხო მხარეს .. სამშო-...ბლოში იგი ამზადებდა „სუნელ სა-...ხმებელთა“ და სწავლული იყო არა-...ბულს ენაზედ... საქართველოში ...იგი სცხოვრობდა ნერსესთან და ...ვისის სათნოებით შეიქმნა იგი ...ქართველი ხალხის საყვარელი.. ...ან შეისწავლა ქართული ენა და ...ქართული მწიგნობრობა, ის სუ-...ლით და გულით, მსგავსად წმ. ...ნაიდენისა, შეეთვისა, შეუსისხლ-...ხორცდა ქართველს ხალხსა, გა-...ქართველდა, გაქრისტიანდა. . წმ. ...აბომ ხელი მიჰყო ქართულს ენა-...ზედ სალმრთო წიგნების შესწავ-...ლას, „რამეთუ უფალი მეცნიერ ჰყოფ-...და მას და მოვიდის იგი წმიდა ეკკლე-...სიასა და ყოვლადთვის ისმენდა წმიდა ...სახარებათაგან და საკითხავთა საწინა-...სწარმეტყველთა და მოციქულთასა“ ...და ამას გარდა ის სჯულის მცოდ-...ნე ქართველებთან ხშირად იმყო-...ფებოდა მათის ახსნა-განმარტებასა ...სჯულის სხვა-და-სხვა საკითხის შე-...სახებ.

ილ. ფერაძე

(შემდეგი იქნება)

# სასარგებლო ცნობა

ზნეობა და ჯანმრთელობა *)

...ლ. ცილისათვის. ასულთ შვენიე-...რთ სიყვარულისათ, ისმინე მცნება ...კეთილ გონიერებისა და დადევ კანონ-...სა ზედა ჭეშმარიტებისასა. სასიამოვ-...ნო გონიერება შენი მისცემს უდიდე-...სსა შვენიერებასა სახესა შენსა და შე-...იქმს მას მსგავს ვარდისა, და დაიც-...

*) იხ. «ცნ. ფურც.» № 724.

...კავს სისუფთავესა შენსა თვით დრო-ს პირველისა ცხოვრებისა შენისასა.

დროს გაზაფხულისა სიყრმისა შენისასა და განთიადსა დღეთა შენთასა ოდეს მამაკაცნი მოგაპყრობენ შენ მკვეთრსა სახედველსა თვისსა და ბუნება გამოაცხადებს სწადელსა მათსა, მაშინ გაფრთხილდი მაცთურთაგან სიტყვათა მათთ, დაიფარე გული შენი და ნუ მისცემ ყურსა შენსა სასმენელად გამოცდილებისა მათისა და არა წმინდებისა.

მოიხსენე, ვითარმედ შენ ხარ გონიერი მეუღლე კაცისა და არა მხევალი ვნებათა მისთა; დაბადებულხარ არა იმისთვის ოდენ, რათა აღუსრულო მას უგუნურებითი მისი გემოთ მოყვარება, არამედ იყო შემწედ მისსა შრომათა შინა სიცოცხლისა მისისასა და თანასწორით სიყვარულითა გადაიხადო ვალი შენი ერთგულად ზრუნვითა.

ვინ ჰმართებს გულსა ქმრისასა და ვინ ჰფლობს სრულად სულსა მისსა?

იგი, რომელიცა ვალს სიამოვნებითა ქალწულებისათა. გული მისი ჰზრდის უბიწოებასა და კეთილ ქცევა გამოხატულ არს დაწვთა მისთა ზედ.

იგი, რომლისა ხელნი ეძიებენ საქმესა და რომლისა ფეხნი, მავალნი აქეთ იქით სახლის განმგებლობისათვის, არა დაიღალვიან.

იგი, რომლისა სამოსელი არს სუფთა, საჭმელი ზომიერი და რომელსა აგვირგვინოსნებენ სიმდაბლე და სიმშვიდე.

იგი, რომლისა სიტყვანი უსიამოვნეს არიან ენასა მისსა ზედა, რომელსა თავდი გარემოსწვეთს ბაგეთაგან, კეთილსა ჩვეულებასა მოასწავებენ უოველნი სიტყვანი მისნი და სიტყვის გებასა შინა მისსა მეფობენ სიამენი და ჭეშმარიტებანი.

სწავლა სიცოცხლისა მისისა არს ერთობა და სიმდაბლე; სიმშვიდე და ნეტარება არიან ნაცვალნი მისნი. თვალთა შინა მისთა ჰბრწყინავს სიტკბოება და სიყვარული, გარნა მორცხვობა ჩანს წარბთა ზედა მისთა. ენასა უადვიროსა არა აქვს ადგილი მასთანა, პატივისცემა, სავსე კეთილ-მოქმედებითა, მისცემს მას მდუმარებასა.

ოდეს ზრახვა თვისზე უდიდესისა და კეთილი სახელი მეგობრისა დანძღვითა აღივსების ყოველსა კერძოსა, მაშინ თითსა მდუმარებისასა დაიდებს იგი პირსა ზედა თვისსა და არაოდეს განადებს თვინიერ კეთილის მეოფელობისა მათისა და სიყვარულისა.

მკერდი მისი არს ტახტი მოწყალებისა, წიაღი მისი არს სამყოფი სიწმინდისა და სული არს სახლი კეთილ-მოქმედებისა.

ნეტარ არს მომაკვდავი, მიმყვანი მისი ცოლად და ასული, უწოდებელი მისი დედად; რომელსაცა სახლსა შინა უფროსობს იგი, არა განვალს მუნით მშვიდობა, ვინაიდგან ბრძანებლობს გონიერად და ყოველნი უდრტვინველ ემორჩილებიან მას.

აღდგების იგი ადრე, ჰფიქრობს საქმეთათვის თვისთა და განუწესებს თვითეულთა შესაფერსა საქმესა. ზრუნვა სახლეულთათვის არს შვება და შექცევა მისი, სიწმინდე და ზომიერება არიან შვენიერებანი სახლისა მისისანი.

კეთილ გონიერებითი სიფრთხილე მისცემს მას ქებასა იგი აღამაღლებს შვილთა გონიერებისა სიბრძნითა თვისითა და სახე მისი განსწავლის ჩვეულებასა მათსა. სიტყვა მისი არს კანონი შვილთათვის და სახე მისი ჰყოფს მორჩილებასა მათ შორის. სახლეულნი მისნი იღვიძებენ ხმისაგან მისისა, მცირე წადილი მისი მსწრაფლ აღესრულების, რადგან სიყვარულითა მისითა არიან სავსე გულნი მათნი, და კეთილ-გონიერება აძლევს ფრთეთა ფეხთა მათთა.

ბედნიერება არა დიდგულ ჰყოფს მას და დროსა უბედურებისასა განჰკურნებს და ბოროტსა ბედსა იტვირთავს მოთმინებით.

იგი დაატკბობს ქმრის განუსვენებლობასა ბრძნულითა რჩევითა და შეუმსუბუქებს მას დაყვავებითა, გარნა აქმარი მისცემს მას გულსა თვისსა ხელმწიფებასა მისსა შინა და მიიღებს მისგან ნუგეშინის ცემასა.

ნეტარ არს, განვიმეორებ კვალად, ქმარი ესე ვითარისა დედაკაცისა და ნეტარ არიან შვილნიცა დედისა ამ გვარისა.

(შემდეგი იქნება)

# ამორჩეული აზრები

—

იმედი მღვიძარე კაცის სიზმარია და სხვა არაფერი.

—

უკეთესია ადამიანი უსიმდიდროდ, ვინემ სიმდიდრე უადამიანოდ.

—

ცრუ მოკეთე ჰგავს იმ ფრინველს, რომელიც ზაფხულობით ჩვენთან არის, ზამთრობით კი სადღაც გადაიკარგება. ცრუ მოკეთეც მაშინ მოგვნახავს, როცა ბედი რამ გვეწევა, უბედურების დროს კი შორს გაგვირბის.

# ყურმოკრული საუბარი

—

— რომელი საათია?

— სწორედ ის საათია, რა საათზედაც ვირები წყალში ბანაობენ.

— მერე-და, შენ რომ ჯერ კიდევ არ ბანაობ?..

—

ერთი კაცი, რომელსაც არასოდეს ცოლი არ შეერთო, ურჩევდა ფილოსოფოსს:

— ფილოსოფოსისათვის ძალიან საჭიროა ცოლის შერთვა.

— თუ საჭიროა, მაშ შენი ქალიშვილი მომათხოვეო—უპასუხა ფილოსოფოსმა.

# სხვა-და-სხვა ამბავი

—

გველისაგან დაკბენილთა გარდაცვალება ინდოეთში. სტატისტიკურ ცნობებიდგან სჩანს, რომ 1874 წლიდან 1898 წლამდე ინდოეთში 500 ათასი კაცი მომკვდარა შხამიან გველების კბენისაგან, რომლებიც ხშირად შედიან სახლებში და ჰკბენენ მძინარე ადამიანებს. ამასთან საყურადღებო ის არის, რომ გველისაგან გარდაცვალებულთა რიცხვი ამ ბოლო დროს ყოველ წლივ თურმე მატულობს. მაგალ., 1874 წ. გველისაგან დაკბენილი გარდაცვლილა 20,000 კაცი, 1876 წ. უკვე 22,000, შემდეგს წელს 24,000 და სხვ...

# დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»).

11 იანვარი

**ჰელსინგფორსი.** -დღეს გენერალ-გუბერნატორმა მიიღო ყველა წოდების დეპუტაციები და დანიშნა სეიმის გახსნა სამშაბათისათვის.

**ქაირი**- ადმინისტრატიულის მხრივ სუდანი განაწილებულ იქმნა ოთხ პირველ ხარისხის და სამ მეორე ხარისხის ოლქად. პირველ ხარისხად ჩარიცხულ იქმნენ ობდურმანი, სენნაარი, კასაალა და ფაშოდა; მეორე ხარისხად—ასსუანი, ვადიგალფა და სუაკიმი.

**მადრიდი.** როგორც სააგენტომ განაცხადა, ტყვეების განთავისუფლებისათვის აგვინალდო თხოულობს, რომ ესპანიამ აღიაროს ფილიპინების რესპუბლიკა და დასდოს მასთან კავშირი, რათა შეერთებულ შტატებს შეუშალონ კუნძულების შეერთება. ამას გარდა, ასეთისავე მოთხოვნილებით აგვინალდოს მიუმართავს ვატიკანისათვის და წინადადება მიუცია—დელეგატები გამოგზავნეთ სარწმუნოების შესახებ მოსალაპარაკებლადაო.

**სტოკჰოლმი.** მეფე უკეთ არის. ექიმები ამბობენ, რომ მეფე საქმეებისაგან შესვენებას საჭიროებსო. მემკვიდრე პრინცმა იტვირთა სახელმწიფო საქმეების გამგეობა. მეფე სილტენბადენში წავიდა. აზრადა აქვს გაზაფხულზედ მგზავრობას შეუდგეს.

**პარიზი.** პალატა შეუდგა გარეშე საქმეთა სამინისტროს ხარჯთაღრიცხვის განხილვას. დეტურნელმა მოითხოვა განმარტება ფაშოდის საქმისა და ინგლისთან დამოკიდებულების შესახებ. ორატორმა ის აზრი წარმოსთქვა, საჭიროა საქმე მორიგებით გათავდეს, რომ არც ერთის მხრისთვის საწყენო არ იყოსო. თუ ვერ მორიგდნენ, მაშინ არც ერთი მხარე არ იქმნება უშიშრობისაგან უზრუნველყოფილი, ინგლისისა და საფრანგეთის მორიგება მთელის ევროპისათვის იქმნება სახეირო. მშვიდო-

ბიანობის დაცვა ინგლისისთვის უფრო საჭიროა, ვიდრე საფრანგეთისთვისაო. (გაცხარებული ტაშის ცემაა).

12 იანვარი

**პეტერბურგი.** 11 იანვარს, პარადის შემდეგ, ხელმწიფე იმპერატორმა აიღო ხელში ფიალა და სთქვა: „მისმა იმპერატორებითმა უდიდებულესობამ ხელმწიფე იმპერატრიცამ მარიამ თეოდორეს ასულმა, უავგუსტოესმა შეფმა რაზმისამ დამავალა წარმოვსთქვა სადღეგრძელო იმისათვის ძვირფასის კავალერ-გარდთა და ვუსურვო ჯანმრთელობა, გაძლიერება და საუკუნო სახელი. ურა!“ შემდეგ მანეჟიდგან წასვლის დროს ხელმწიფემ ბრძანა: „კიდევ ერთხელ გეტყვით, ძმანო, მადლობას სახელოვანისა და ერთგულის სამსახურისათვის“. პარადის შემდეგ, საუზმის დროს ანიჩკინის სასახლეში მისმა უდიდებულესობამ ბძანა: „რაზმის შეფის, ჩემის ძვირფასის დედის სახელითა და მე თვითონ ვუცხადებთ ჩვენს გულწრფელს მადლობას უწინდელსა და ეხლანდელს კავალერ-გარდებს ერთგულისა, თავგანწირულისა და მხნე სამსახურისათვის ტახტისა და სამშობლოს წინაშე. დარწმუნებული ვარ, რომ კავალერგარდთა ახალი შთამომავლობა ისეთისავე ერთგულებით იმსახურებენ, როგორც მათნი წინაპარნი. მისი უდიდებულესობის სახელით ვსვამ კავალერგარდთა რაზმის სადღეგრძელოსა და ვუსურვებ შემდეგშიაც დიდს სახელს“.

**ბრიუსელი.** მინისტრი პრეზიდენტი და ფინანსთა მინისტრი სამსახურიდგან გადადგნენ. იმათს ადგილს დაიჭერენ გელეპუტი და ბროკერილემი; სამხედრო მინისტრი დაიჭერს მინისტრ-პრეზიდენტის ადგილს.

**ნიში.** სკუპშჩინამ მიანდო მთავრობას 5%-ნი 30 მილიონის სესხის აღება რკინის გზისათვის. სესხად აღებულ ფულის ანგარიში მთავრობამ უნდა წარუდგინოს მომავალს სესიას. ნაშუადღევს სკუპშჩინა დათხოვნილ იქმნა. მეფე ალექსანდრეს ხვალ მოელიან აქ.

**ათინა.** მიწის ძვრა შეწყვეტილა კიპარისიასა და ფილიატრას ოლქებში. ქალაქ კიპარისიაში დაზიანდა და დაიქცა რამდენიმე სახლი, კაცი ბევრი არ დაღუპულა.

**პარიზი.** პალატა. დელკასე ამბობს, რომ თავისს პოლიტიკაში ხელმძღვანელობს საფრანგეთის საზოგადო ინტერესებით. მინისტრი იხსენიებს, როგორ იქცეოდა საფრანგეთი ესპანიასა და ამერიკის შორის მომხდარ უსიამოვნების დროს. რესპუბლიკას სასახელოდ ეჭირა თავი. ამით ერმა ზნეობრივი სარგებლობა მოიპოვა. (ტაშის ცემა) დელკასე ამბობს შემდეგ, რომ საფრანგეთი ყველაზე ადრე მიემხრო რუსეთის მანიფესტს შეიარაღების წინააღმდეგ განცხადებულს— ჯერ ერთი იმ დიადის ერის მეფის პატივისცემით, რომელთანაც თანხმობა ასე სრული არაოდეს არა ყოფილა და მეორეც იმიტომ, რომ საფრანგეთმა იცოდა ვერავინ მოსთხოვდა ისეთს რასმე, რომ შესაძლებელი ყოფილიყო იმის დამცირება ეხლა ან მომავალში (ტაშის ცემა). ჩვენს სახელს აღმოსავლეთის ქრისტიანთა მფარველობისას არაფერი დაჰკლებია. მინისტრმა გაიხსენა შემდეგ, როგორ იქცეოდა საფრანგეთი კრიტის საქმეში, ამტკიცებდა, რომ საფრანგეთი ხელს უმართავს საზოგადო მშვიდობიანობის დაცვას და დასძინა: „მაგრამ, სამხიარულო ამბების გარდა, სამწუხაროც არის. (ტაშის ცემა). დიდ სახელმწიფოთა შორის უთანხმოება აუცილებელია, მაგრამ, ჩემი აზრით ისეთი არცერთი არ არის, რომ მორიგებით ვერ გათავებულიყოს. სწორედ ასე დავამთავრე მე ფაშოდას საქმე. მე ვიცოდი რომ ჰორთუმის აღების შემდეგ ინგლისის გემები უნდა ასულიყვნენ ზევით მდინარე ნილოსით და მე შევუთვალე ინგლისის მთავრობას, რომ ცივილიზაციის იმ საქმეს, რომელიც ინგლისელებმა იკისრეს ჩრდილოეთის მხარეს, ჩვენ სამხრეთის მხარეს ვიკისრებთ. მე იმედი მქონდა, რომ ინგლისი უარს არ იტყოდა ჩვენს დახმარებაზე, მაგრამ მან გვიპასუხა, რომ ნილოსის ხეობაში უცხოელთა ყოფნა ინგლისის მიერ ჩათვლილი იქნება არა მეგობრულ გარემოებად და მარშანის ექსპედიციის მოსვლა ურთიერთ შორის უთა ხმოებას გამოიწვევსო“. დელკასის წინააღმდეგია ინგლისის მთავრობის ასეთის აზრისა და ამტკიცებს, რომ ამ საქმეში არაფერი იყო ისეთი, რომ არა მეგობრულ საქციელად ჩათვლილიყო. მარშანის საქციელად ჩათვლილიყო 1893 წელს. სუდანის ექსპედიციის კარგა ხნის წინად საფრანგეთს თავისუფლება ჰქონდა მიტოვებულ ადგილებში. მარშანის საგმირო ექსპედიის მოხსენების დროს (ტაშის ცემაა) მინისტრი დასძენს, ფაშოდას დაცლა რომ ვბძანე, სახეში მქონდა საფრანგეთის საზოგადო ინტერესებით, მაგრამ ამ გარდაწყვეტილების მიღებისათვის ჩემთვის საჭირო იყო გავმსჭვალულიყავ ნამდვილ მამულიშვილობის გრძნობით. მამულიშვილობამ მიმაჩნდა მე ავცილებიყავ უსიამოვნებას, რომელიც უბედურება იქმნებოდა მთელის ქვეყნისათვის და მოითხოვდა ისეთს მსხვერპლს, რომელიც არ შეეფერებოდა იმ საგანს, რომლის გამოც უსიამოვნება მოხდა. საფრანგეთი, შეგნებული აქვს რა თავისი უფლება, მუდამ მზად არის მოსალაპარაკებლად (ტაშის ცემა). მინისტრი არაოდეს არ ივიწყებს, რომ თვისის სისუსტის მიუხედავად, ის წარმომადგენელია სახელმწიფოს უმაღლესის თანამდებობისა (ტაშის ცემაა). „ქვეყნიერებაზედ მზადდება უდიდესი ცვლილებანი. აი რისთვის არის საჭირო ფრთხილსა და გონივრულს პოლიტიკას ვადგეთ, რომელმაც არ უნდა ჩანთქას მთელი ჩვენი ძალ-ღონე. რათა ღირსეულად შევასრულოთ ჩვენი დანიშნულება, ჩვენ ვსაჭიროებთ, პარლამენტი მუდამ მხარს გვიჭერდესო“. (გაცხარებული ტაშის ცემაა). კრება დაიშალა.

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა მინისტრმა დაადგინა: გაზ. „რუსკი ტრუდ“-ის რედაქტორს და
მომცემელს, სამსახურიდან გა
დგარს გუბერნსკი სეკრეტარ
გეი შარაპოვს, მეორეთ გამ
ხადოს გაფრთხილებაო

გამოცხადებული არის ეპა
ლე გარეშე საქმეთა მინისტ
უცხო სახელმწიფოთა წარმო
გენლებთან გაგზავნილი, კო
რენციის შესახებ ღონისძი
გამოსარკვევად, რომელთაც
ლაფერზე უფრო შეუძლიან
ხალხისათვის ნამდვილისა და
ურყეველის მშვიდობიანობის
ყარება; ამასთანავე ნაჩვენ
რომ სასურველია კონფერ
არ შეიკრიბოს რომელიმე
სახელმწიფოს სატახტო ქალა
სადაც თავს იყრის ბევრგვარი
ლიტიკური ინტერესები, რომ
თაც გავლენა ექმნება საქმის
დინარეობაზედ, რომელიც
ნაირად დიდ-მნიშვნელოვანია
ლო ქვეყნისათვისო.

# განცხადებანი


საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გა

## „კვალი“

გამოვა 1899 წელსაც ყოველ კვირაში ერთხელ ერთიდან სამ თაბახ
იმავე პროგრამით და იმავე თანამშრომლებით, როგორც 1898

გაზეთი წლიურად ღირს გაუგზავნელად 7 მან., ხოლო გაგზავნ
მან; ნახევარი წლით გაუგზავნელად 3 მან. 50 კაპ., გაგზავნით
სამი თვით გაუგზავნელად 2 მ., გაგზავნით 2 მ. 50 კ. თითო
სამი შაური. ხელის-მომწერლებს წლის ფული შეუძლიანთ ნაწილ-
ლადაც გამოგზავნონ.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში „წერა-კითხვის საზოგად
კანცელარიაში“ (სასახლის ქ., სათავად-აზნ. ქარვ.) და თვით „კვ
რედაქციაში - არტილერიის ქ. № 5, კადეტთა კორპუსის ახლო.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакція «Квали» (10—



Открыта подписка на новый еженедѣльный журналъ

## ЗНАМЯ

**политическій, научный и литературный.**

Первая книжка печатается въ 30,000 экземп.

Главная задача нашего изданія сводится къ обсуж-
нію вопроса объ организаціи труда, объ упроченіи эко
мическаго быта трудящихся классовъ населенія. ЗНАМ
выражаетъ увѣренность, что вопросъ о трудѣ есть цен
ральный вопросъ культуры, отъ рѣшенія котораго зав
сить въ значительной степени наша національная буду
ность. Трудъ—это главный факторъ культуры и посл
няя стоитъ на прочной почвѣ, если организація труда
странѣ отвѣчаетъ требованіямъ христіанской кравственн
ти. „Знамя“ будетъ выходить каждую недѣлю, отдѣль
ми книжками, до 4 печатныхъ листовъ текста. ПРОГ
ММА: 1. **Обозрѣніе иностранной и внутренней жизни. II. Во
сы религіозные, и научные. III. Литературная критика. IV Ром
повѣсти, разсказы и стихотворенія.** Первая книжка выход
1 декабря высылается лицамъ, желающимъ ознакоми
съ идейной стороной изданія за одну 7 коп марку.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА: Съ доставкою на годъ 5 р.,
года 3 р., 1/4 года 1 р. 50 к., безъ доставки на го
р., 1/2 года 2 р., 1/4 года 1 рубль.

**Адресъ Редакціи и Конторы**: Москва, Варсонофьевскі
д. Кн. Гагарина, Телеф. № 600.

Редакторъ *Н. Д. Облеуховъ*. Издательница *А. Д. Пустош*

(6


Дозволено цензурою. Тифлисъ, 13 Января 1899 г. სტ. „ცნ. ფურც.“ (ვ. ბუნიასი), რედაქტორ-გამომცემელი ვ.